პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2024 წლის --- მარტი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს ანგარიში 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერაძე

შეთანხმებულია

აპარატის უფროსი გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე შ. კილაძე

ა ნ გ ა რ ი შ ი

ა(ა) იპ ''ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის'' მიერ 2023 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

ა(ა) იპ ''ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი'' დაარსდა 2015 წელს. ცენტრი სრულად ფინანსდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ.

ა(ა) იპ ''ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი''-ს ხარჯთაღრიცხვა 2023 წელს შეადგენს 219600 ლარს. 2023 წელში ათვისებულია 211452,19 ლარი,

ცენტრი ახორციელებს შშმ პირთა ზრუნვის პროგრამას. ჯანდაცვის სამინისტროს დადგენილების რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამას, ინტეგრაციას, ინკლუზიურ განათლებას.

ცენტრში ირიცხება წყალტუბოში და წყალტუბოდან 20 კმ -ის რადიუსში მცხოვრები ბენეფიციარები. ბენეფიციარებს ემსახურება ცენტრის კუთვნილი მიკროავტობუსი.

ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან ორჯერადი კვებით. ორივე კვება სამ კომპონენტიანია. ხორცის და თევზის პროდუქტების შემოტანა ხდება კვირაში 4-ჯერ, ყოველდღიურად.

თითოეულ ბავშვზე გათვლილია კალორაჟი. მიღებული საკვების ნიმუშები 24 საათის განმავლობაში ინახება მაცივარში (უსაფრთხოების თვალსაზრისით).

ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, მუსიკალური ინსტრუმენტით, კომპიუტერული ტექნიკით, პროექტორით, ლამინირების აპარატით.რომლის საშუალებითაც ხდება ბენეფიციარების ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში. ცენტრში ფუნქციონირებს ვიდეოთვალი.

ა(ა) იპ ''ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი''-ში 2023 წელს ირიცხებოდა 15 ბენეფიციარი,

შემდეგი დაავადებებით:

1. დაუნის სინდრომი
2. აუტისტური სპექტრი
3. ცერებრალური დამბლა
4. გონებრივი შეზღუდვა

ცენტრში დასაქმებულია 18 ადამიანი.

2023 წელს ბავშვთა ინკლუზიურ ცენტრში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

1. 3 მარტი - დედის დღე. ბავშვებმა თავისი ხელით შექმნილი საჩუქრებით მიულოცეს დედებს დედის დღე.
2. 8 მარტი - ქალთა საერთაშორისო დღე. ბენეფიციარებმა სიმღერებით და ლექსებით მიულოცეს პედაგოგებს ქალთა საერთაშორისო დღე.
3. 21 მარტი- დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე.

4. 2 აპრილი - ავღნიშნეთ აუტიზმის საერთაშორისო დღე ქალაქის ხელმძღვანელობასთან ერთად.

5. 9 აპრილი- ყვავილებით შეამკეს მემორიალი.

6. აღდგომის დღესასწაული - თითოეული ბავშვისთვის განსაკუთრებული დღეა, ბენეფიციარების ოჯახებს სააღდგომო სასაჩუქრე ნაკრები გადასცა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიამ და საკრებულომ.

7.9 მაისი- ღონისძიებაზე ომის თემაზე შექმნილი ლექსები წაიკითხეს.

8. 17-18 მაისი -აღინიშნა ოჯახის სიწმინდის დღე , ეროვნულ სამოსის დღეს მივიღეთ მსვლელობაში მონაწილეობა.

9. 26 მაისი- დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა ცენტრში ღონისძიება.

10.1 ივნისი- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე. ქალაქის მერმა და საკრებულოს თამჯდომარემ საჩუქრებიით მიულოცეს ეს დღე, მონაწილეობა მივიღეთ ასფალტზე ხატვაში.

11.კულტურის ცენტრის სპექტაკლებზე და კონცერტებზე დასწრება.

12.ქალაქის პარკში გასეირნება.

13.ცენტრს სტუმრობდა არასამთავრობო ორგანიზაცია ,,საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის ''- საჩუქრები გადასცეს (ტანსაცმელი) თითოეულ ბენეფიციარს.

14.მივიღეთ მონაწილეობა "წყალტუბოობა 2023"-ში და მოვაწყვეთ ბენეფიციართა ნამუშევრების გამოფენა.

მულტიდისციპლინარულ გუნდთან ერთად შემუშავებულია თითოეულ ბენეფიციართან ინდივიდუალური მუშაობის სამუშაო გეგმა, რომელიც შედგენილია მათი გონებრივი შესაძლენლობების მიხედვით.

მუშაობა მიმდინარეობს შემდეგი უნარების განვითარების მიმართულებით:

1.აკადემიური უნარები

2.მეტყველების უნარები

3. ქცევა.

4.ფუნქციური უნარები (ყოფითი უნარ-ჩვევები)

5.მსხვილი და ნატიფი მოტორული უნარები

6.კოგნიტური უნარები

7.ემოციურ- სოციალური სფერო.

ორგანიზაციას უყურადღებოდ არ ტოვებენ კეთილი ადამიანები, „ბავშვთა ინკლუზიურ ცენტრი“-ს უსასყიდლოდ ემსახურებიან:

1.შპს „ჰიგია“ - ხელ-ი ც. გურეშიძე

2.შპს „ ერი“ - ხელ-ი რ. კუხალაშვილი

3. შპს “ფლაინეტი“ ხელ-ი- გ. ყუფარაძე

მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ზრუნავენ ბენეფიციარების მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მათი კეთილდღეობისათვის.

"ინკლუზიური ცენტრის" დირექტორი ნინო ნემსწვერიძე